

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლეილა ბახტაძე

იმპერატივის სემანტიკა და სინტაქსი
ბიბლიისა და თანამედროვე ებრაულში

10.02.06 – ახლო აღმოსავლეთის ენები
(სემიტური ენები)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ჟ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
კონსტანტინე წერეთელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
მანანა გოცირიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ვლადიმერ ლეკიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
მარიამ ნედოსპასოვა

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „31“ „მთ“ „მთ“ საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს (P10.06.№9) სხდომაზე. მისამართი: 0162, თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. 3.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის „29“ „ახი“ „ახი“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

დ. სვანი

გ. სვანი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ ИМ. АКАД. Г. ЦЕРЕТЕЛИ

На правах рукописи

Лейла Борисовна Бахтадзе

СЕМАНТИКА И СИНТАКСИС ИМПЕРАТИВА
В БИБЛЕЙСКОМ ЕВРЕЙСКОМ ЯЗЫКЕ
И СОВРЕМЕННОМ ИВРИТЕ

10.02.06 – Языки Ближнего Востока
(Семитские языки)

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук

Тбилиси
2006

Работа выполнена на кафедре еврейско-арамейской филологии гуманитарного факультета востоковедческого направления Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

Научные руководители: доктор филологических наук,
профессор **Константин Церетели**

кандидат филологических наук,
доцент **Манана Гоциридзе**

Официальные оппоненты: доктор филологических наук
В. Лекиашвили

кандидат филологических наук
М. Недоспасова

Защита состоится „31“ „მაის“ 2006 г. в „19“ часов на заседании диссертационного совета (P10.06.№9) при Институте востоковедения им. акад. Г. Церетели Академии Наук Грузии.
Адрес: Тбилиси, ул. акад. Г.В. Церетели 3.

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Института востоковедения им. акад. Г. Церетели Академии Наук Грузии

Автореферат разослан „29“ „აპრილ“ 2006 года

Ученый секретарь диссертационного совета,
кандидат филологических наук

Д. Свани

Д. Свани

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. თანამედროვე ლინგვისტურმა თეორიებმა, (კოგნიტიური სემანტიკა, ლინგვისტური ფუნქციონალიზმი, სამეტყველო აქტის თეორია და სხვ.), რომელთა თანახმად წინადადების სემანტიკისა და ზოგადად ენის აღწერა შეუძლებელია სასაუბრო აქტის მონაწილეთა – მოსაუბრის (ადრესანტის)

და მსმენელის (ადრესატის), აგრეთვე საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინების გარეშე, აქტუალური გახდა კომუნიკაციურ-ფუნქციონალური მიდგომა ენობრივი ერთეულების კვლევისადმი. კოგნიტიური ლინგვისტიკა უპირატესობას ანიჭებს სემანტიკის კვლევას, სამეტყველო აქტის თეორია კი ენის მთავარ ერთეულად მიიჩნევს სამეტყველო აქტს, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ განზრახვასა და მიღწეულ შედეგს, ანუ ადამიანთა კომუნიკაციის მინიმალური ერთეულია არა წინადადება ან სხვა გამონათქვამი, არამედ ქმედება – კონსტატაცია, კითხვა, ბრძანება, ახსნა-განმარტება და სხვ.

რ. იაკობსონი ასეთ საკომუნიკაციო სქემას წარმოგვიდგენს: მოლაპარაკე (ლოკუციის წყარო) შეტყობინებას გადასცემს ადრესატს (ლოკუციის მიზანს), ხოლო სამეტყველო აქტის მესამე შემადგენელია თვით შეტყობინება, გამონათქვამი, ლოკუცია. იმისთვის, რომ შეტყობინებამ შეასრულოს თავისი ფუნქცია, მას სჭირდება კონტექსტი – როგორც რეფერენტის ობიექტი, რომელიც ნაცნობია ადრესატისათვის და რომელსაც უკვე აქვს ვერბალური (ენობრივი) ფორმა. ყოველივე ეს ქმნის ექსტრალინგვისტურ კონტექსტს. ამასთანავე, ლოკუცია განფენილია დროში. ამდენად, სიტუაციური კონტექსტი, ენობრივ კონტექსტთან ერთად, აუცილებელი პირობაა წარმატებული კომუნიკაციისათვის.

ამგვარი მიდგომა საინტერესოს ხდის იმპერატიული კონსტრუქციების ანალიზს, რომლებიც თავის მხრივ ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული საკომუნიკაციო სიტუაციასთან და სასაუბრო აქტის მონაწილეებთან — მსმენელთან და მოსაუბრესთან. თანამედროვე ლინგვისტიკაში კომუნიკაციურ-ფუნქციონალურ ფაქტორს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ცნობილი ენათმეცნიერების ვ. ხრაკოვსკის, ა. ვოლოდინის, ო. ახმანოვას და სხვათა შრომებში.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება იმპერატივის სემანტიკასა და სინტაქსს ბიბლიისა და თანამედროვე ებრაულ ენაში. იმპერატივისა და ზოგადად კილოს შესახებ არსებული თეორიების, და ხსენებულ პრობლემატიკაზე სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინებით, შევეცადეთ აღგვეწერა იმპერატიული ფორმებისა და კონსტრუქციების სემანტიკური და სიტაქსური თავისებურებები ბიბლიისა (მოსეს ხუთწიგნული) და თანამედროვე ებრაულ ენაში. ნაშრომი შესრულებულია თანამედროვე ენათმეცნიერების ტენდენციების — ფუნქციონალიზმის, ენობრივი მოვლენების ექსპლანატორობის, ასევე დღევანდელი ლინგვისტიკისათვის აქტუალური — ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

კვლევის საგანი და მიზანი. იმპერატიული კონსტრუქციების აღწერა და სისტემატიზაცია მათი სტრუქტურის, გამოყენებისა და ფუნქციის თვალსაზრისით; იმპერატივის კატეგორიის სემანტიკური ველის განსაზღვრა, იმპერატიული წინადადების ტიპებისა და მათი სინტაქსური თავისებურებების აღწერა ბიბლიისა და თანამედროვე ებრაულში.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე.

1. ებრაული იმპერატიული კონსტრუქციების კომპლექსური, სისტემური მეცნიერული აღწერა, რომელიც

მიზნად ისახავს იმპერატივის ფუნქციისა და ადგილის გარკვევას ებრაული ზმნის სისტემაში. იმპერატიული სემანტიკის კონსტრუქციების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით კონკრეტული სასაუბრო სიტუაციის გათვალისწინებით.

იმპერატივის ფორმა ადასტურებს, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერფექტივთან, რამდენადაც ორივე — იმპერატივი და იმპერფექტივი ერთი მოდელით იწარმოება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმპერატივის სფეროს II პირთან ერთად, შეიძლება მიეკუთვნოს I და III პირის ფორმებიც, თუმცა ამ უკანასკნელთ მორფოლოგიურად (ექსპლიციტური) გამოხატულება არ გააჩნიათ. ამასთან, ისეთი ზმნური კატეგორიის აღწერისას, როგორცაა იმპერატიული

მოდალობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სიტუაციის კონტროლის ცნება.

თანამედროვე ენისთვის დამახასიათებელია გამარტივების ტენდენცია — იმპერატივის ფორმები ჩანაცვლებულია მომავალი დროის მე-2 პირის ფორმებით, რადგან ნაწარმოები თემების იმპერატივის ფორმები მორფოლოგიურად უფრო რთულია, ვიდრე მომავალი დროის ფორმები.

2. პირველადაა აღწერილი იმპერატივის გამოხატვის ალტერნატიული საშუალებები — ინფინიტიური კონსტრუქციები, ელიფსური კონსტრუქციები, მათი მოდელები ებრაულ ენაში, საკომუნიკაციო პოტენციალი და ეფექტურობა გარკვეულ სასაუბრო აქტებში.

3. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება იმპერატივის სინტაქსურ თავისებურებებს — შინაარსის და სტრუქტურის მიხედვით აღწერილია არა მარტო პრედიკატული იმპერატიული წინადადების ტიპები, არამედ სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებული ინფინიტიური და ელიფსური წინადადებების სინტაქსური თავისებურებანიც.

თანამედროვე ენისგან განსხვავებით, რომლისთვისაც საერთოდ დამახასიათებელია სხვადასხვა, მათ შორის სინ-

ტაქსური სტრუქტურების გამარტივების ტენდენცია, ბიბლიის ტექსტებში ხშირია რთული წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე (3 ან მეტი) ბრძანებითი წინადადებაა გაერთიანებული.

4. ირკვევა, რომ იმპერატივი ბიბლიურსა და თანამედროვე ებრაულ ენაში ხასიათდება ძირითადად იმავე რიგის მორფოლოგიური, ლექსიკური თუ სინტაქსურ-სემანტიკური ნიშნებით, რომლებიც ტიპურია სხვა ენებისათვის. ასეთ უნივერსალურ ნიშნებს განეკუთვნება კერძოდ ბრძანებითი ინტონაცია, ნაცვალსახელური ქვემდებარის უქონლობა, I და III პირის ბრძანებითისათვის აღწერითი ფორმების გამოყენება, აპელაციური ფუნქციის რეალიზება და სხვა.

კვლევის მეთოდები. ნაშრომი შესრულებულია ლინგვისტიკის თანამედროვე ტენდენციების – კოგნიტიურ-ფსიქოლოგიური, კომუნიკაციურ-ფუნქციონალური, სოციოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის, კონტექსტოლოგიური ანალიზის, სემანტიკური ველის ანალიზის მეთოდები. შერჩეულია ბიბლიის (მოსეს ხუთწიგნულის) ტექსტები, თანამედროვე მწერლობის ნიმუშები, აგრეთვე მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან და საგაზეთო მასალიდან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლასიკური და თანამედროვე ებრაული ენის გრამატიკის სალექციო კურსებში, აგრეთვე სათანადო პრობლემატიკის შემდგომი კვლევისას სხვა სემიტიური ენების მასალაზე. დისერტაციაში მიღებული დასკვნები გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ტიპოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომი შესრულდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრაზე.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი მოხსენებების სახით წაკითხული იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (X, XI საერთაშორისო კონფერენციები იუდაიკაში, მოსკოვი, 2003, 2005). ნაშრომის ძირითადი დებულებანი ასახულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში (ოსუ შრომები, „პერსპექტივა-XXI“, „სემიტოლოგიური ძიებანი“) გამოქვეყნებულ 3 სტატიაში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი
ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან. ერთვის გამოქვეყნებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე დაბეჭდილ 120 გვერდს.

შესავალში განსაზღვრულია ნაშრომის საგანი და მიზანი, დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მეცნიერული სიახლე; მოცემულია საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება და მისი ანალიზის მეთოდები, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის მოკლე აღწერა.

თავი პირველი.

იმპერატივის ადგილი და ფუნქცია ზმნის კატეგორიათა სისტემაში.

ტრადიციულად, იმპერატივი განიმარტება როგორც კილოს კატეგორიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შესასრულებლად წარმოგვიდგენს. იმპერატივის, ანუ ბრძანებითი კილოს არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოუწოდოს მსმენელს ან აიძულოს ის, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. იმპერატივი, როგორც ზმნის

ერთ-ერთი კილო, ყველა აქამდე ცნობილ ენაში არსებობს, თუმცა ყოველთვის არ გააჩნია სპეციალური ფორმა. კილოს კატეგორია მჭიდროდ უკავშირდება მოდალობის ცნებას. წინადადების მოდალობა არის კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის სხვადასხვა მიმართებას სინამდვილისადმი და მოლაპარაკის (იშვიათად — მსმენელის) დამოკიდებულებას შეტყობინებასთან. მოდალობა ერთგვარად წინადადების მნიშვნელობის კომენტარია. მოდალობაში იგულისხმება მოსაუბრის მიერ რეალობის აღქმა. ამა თუ იმ კილოს ფორმით მოსაუბრეს შეუძლია გამოხატოს თავისი შეფასება, დამოკიდებულება ზმნით გადმოცემული მოქმედების მიმართ.

ებრაულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გადმოცემის ძირითად საშუალებას ზმნის კილო წარმოადგენს. ებრაულში კილო ოთხია: პირდაპირი (ინდიკატივი), ირიბი კილოები: ბრძანებითი (იმპერატივი), პირობითი (იუსივი) და ნატვრითი (კოჰორტატივი).

მაგრამ არსებობს იმპერატივის არატრადიციული განმარტებაც. სწორედ იმპერატივს ახასიათებს ისეთი სპეციფიკური სემანტიკური და ფორმობლივი თავისებურებანი, რომელთა გამო ბევრი ცნობილი მკვლევარი (ვ. ვინოგრადოვი, დ. შტელინგი, ა. პაზუხინი, რ. იაკობსონი სხვები) საერთოდ გამოყოფენ მას ზმნის საერთო სისტემიდან, რადგან, მათი აზრით, თუ სხვა კილოები არ უკავშირდება საკომუნიკაციო ჩარჩოს, იმპერატივის ემსახურება სპეციალურად ერთ-ერთი საკომუნიკაციო ფუნქტორის ასახვას. ვ. ხრაკოვსკი და ა. ვოლოდინი, რომელთა თეორიას იმპერატივის სემანტიკის შესახებ ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვეყრდნობით, სხვადასხვა ენების ინდიკატიური და იმპერატიული პარადიგმის შედარებითი ანალიზის შედეგად, აგრეთვე კილოს კატეგორიის მათ მიერ შემოთავაზებული განმარტების მიხედვით, რომლის თანახმად, კილო და დრო ერთიან გრამატიკულ კატეგორიად

უნდა განიხილებოდეს, თვლიან, რომ როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური ნიშნების მიხედვით, იმპერატივი არ მიეკუთვნება კილოს კატეგორიას. კილო განსაზღვრავს ფაქტის რეალურობას/არარეალურობას მოსაუბრის თვალსაზრისით, ხოლო დრო წარმოადგენს რეალობის არსებობის საშუალებას, ამიტომ დრო არის კილოს კატეგორიის სუბკატეგორია.

რაც შეეხება იმპერატივს, მას აქვს სპეციფიკური აპელაციური ფუნქცია, შინაარსობრივად ის არც რეალურია და არც ირეალური, რის გამოც იმპერატივი უპირისპირდება ზოგადად კილოს კატეგორიას. ებრაული ენის ტრადიციულ გრამატიკებში იმპერატივი განიმარტება, როგორც კილოს კატეგორია, თუმცა იმპერატივის შესახებ განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ებრაული ენის ზოგიერთი ავტორიტეტული მკვლევარი. ხ. როზენის აზრით, იმპერატივის კატეგორიალური სტატუსის განსაზღვრა ძნელია, რადგან ის არც დროის კატეგორიას ეკუთვნის და არც კილოსას, ამიტომ იმპერატივი ინფინიტივის მსგავსი კატეგორიაა და მისი ადგილი ვერბოიდების სისტემაშია. ე. კუჩერის აზრით, იმპერატივი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ წართქმით წინადადებაში, წარმოადგენს მოდალური მნიშვნელობის გამომხატველ საგანგებო სტრუქტურას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული იმპერფექტივთან და იმავე მოდელით იწარმოება (Kutcher E. A. History of the Hebrew Language. Jerusalem, 1983).

როგორც ე. პროკოპოვიჩი მიუთითებს, მომავალი დროის წარმოება, რომელიც მოსალოდნელ მოქმედებას აღნიშნავს, თავისი სემანტიკით ახლოსაა კილოს ფორმებთან. ბრძანებით კილოში თავისთავად დევს მომავალი დროის იდეა, რადგან ბრძანება გაიცემა მხოლოდ მოქმედების მომავალში შესასრულებლად.

ებრაულ ენაში, როგორც აღინიშნა, იმპერატივის წარმოება საზოგადოდ მჭიდროდაა დაკავშირებული იმპერფექტივთან. ებრაულში უხვად არის მაგალითები, როდესაც იმპერფექტივის მე-2 პირის ფორმებით გადმოცემულია იმპერატივი, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა მოდალობას გამოხატავდეს – კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას, მიმართვას და ა.შ.

იმისათვის, რომ გაირკვეს იმპერატივის ადგილი და მნიშვნელობა ზმნის სისტემაში, ნაშრომის ამ თავში, მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, მოცემულია მცდელობა იმპერატივის ფუნქციური დანიშნულების დაზუსტებისა რამდენიმე ძირითადი მომენტის გათვალისწინებით. ესენია:

ინტონაცია, რომელიც ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ფორმალურ ნიშანთა რიცხვში შედის. ის განასხვავებს თხრობით, კითხვით და ბრძანებით წინადადებებს. იმპერატიული ინტონაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც იმპერატიულ წინადადებაში გამოიყენება არა იმპერატიული ფორმები, არამედ მომავალი დროის ინდიკატიური ფორმა ან ინფინიტივი. ინტონაცია რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ომონიმის თავიდან აცილების საშუალებას: იმპერატიული/არაიმპერატიული ფორმების გამოყენებისას.

მორფონოლოგიური აგებულება, რაც ასევე განაპირობებს იმპერატივის სპეციფიკურობას ზმნის კილოთა სისტემაში. იმპერატივის ფორმა ადასტურებს, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული იმპერფექტივთან, რამდენადაც ორივე (იმპერატივი და იმპერფექტივი) ერთი მოდელით იწარმოება. ებრაულში ბრძანებითს საკუთარი ფორმები მხოლოდ მე-2 პირში აქვს.

ბრძანებითში ზმნის პარადიგმას ასეთ სახე აქვს:

Qal

მხ. რ.	მრ. რ.
II პ. მამრ k'ōḥ	kitḥū
II პ. მდ. kitbī	k'ōḥnā

Nip'al

II პ. მამრ hikkāṭēḥ	hikāṭhū
II პ. მდ. hikkāt'bī	hikkāṭabnā

Piel

II პ. მამრ sappēr	saprū
II პ. მდ. saptī	sappērā

Hip'il

II პ. მამრ haqṭēl	haqṭīlū
II პ. მდ. haqṭīlī	haqṭēlnā

Hitpa'el

II პ. მამრ. hitqaṭēl	hitqaṭ'lū
II პ. მდ. hitqaṭ'ī	hitqaṭalnā

რაც შეეხება მე-3 პირს, აქ გამოყენებულია იმპერფექტივის ფორმები (ჩვეულებრივ, პირობითი კილო). თანამედროვე ებრაულისათვის დამახასიათებელია ტენდენცია იმ-

პერატივის ფორმების შეცვლისა მომავალი დროის მე-2 პირის ფორმებით — უპირატესად *Nip'al-ov*, *Hip'il-ov*, *Hitpa'el-ov* თემებში, რაც გამარტივების ტენდენციის მოქმედების შედეგია, რადგან ნაწარმოები თემების იმპერატივის ფორმები მორფოლოგიურად უფრო რთულია, ვიდრე მომავალი დროის ფორმები.

მაგ.: მამრ. სქ. მხ. რ. *dabbēr*, მდ. სქ. *dabb'ri* — *ილაპარაკე!* *p'qōd* — *უბრძანე!* მაგრამ მამრ. სქ. მხ. რ. *taggīš* — ნაცვლად *haggēš* — *მოიტანე!* (*ngš* პირი, *Hip'il*); *tamtin* — ნაცვლად *hamtēn* — *მოიცადე!* (*mtn* პირი, *Hip'il*). იმპერატივის მე-2 პირის ფორმებით გადმოცემული იმპერატივი შესაძლოა სხვადასხვა მოდალობას გამოხატავდეს — კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას, მიმართვას და ა.შ.

ტრადიციულად ითვლება, რომ შინაარსობრივად იმპერატივის ფორმები ასახავენ აპელაციური ურთიერთობის რეფერენტულ სიტუაციას (იძულებით სიტუაციას), რომელიც შეიცავს ორ მონაწილეს — მოსაუბრესა და მსმენელს. ამასთან, უფრო გავრცელებულია აზრი, რომ იძულებითი ან აკრძალვითი მოქმედების შემსრულებლად შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ მსმენელი (=ადრესატი). ამგვარი მიდგომით, იმპერატივის პარადიგმაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მე-2 პირის ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ იძულებითი მოქმედების შემსრულებელი არის მსმენელი (=ადრესატი).

ჩვენ ვეთანხმებით ვ. ხრაკოვსკისა და ა. ვოლოდინის აზრს, რომ იმპერატივის სფეროს განეკუთვნება არა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მოქმედების შემსრულებელია II პირი, არამედ ის შემთხვევებიც, როდესაც მოქმედებას ასრულებს მოსაუბრე (I პირი), ან პირი, რომელიც არ მონაწილეობს სასაუბრო აქტში (III პირი), ან ჩამოთვლილ პირთა ნებისმიერი კომბინაცია. ებრაულში, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალური ფორმები იმპერატივს მხოლოდ მე-2 პირისთვის აქვს, თუმცა ცნობილია ენები (მაგ. ფინური, ბე-

ლორუსული და სხვ.) რომლებშიც I და III პირის იმპერატივისათვის არსებობს სპეციალური ფორმები და აღნიშნული ფორმები შედის იმპერატივის პარადიგმაში (Храковский В. С., Володин А. П., Семантика и типология императива. Ленинград, 1986).

როგორც ნ. დობრუშინა აღნიშნავს, იმპერატიული მოდალობის ზმნური კატეგორიების აღწერისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სიტუაციის კონტროლის ცნება (Добрушина В. Проблема контролируемости побудительной ситуации в типологическом аспекте. www.dialog-21.ru).

ვ. ხრაკოვსკი და ი. ვოლოდინი ასევე მიუთითებენ, რომ „კაუზაციას ექვემდებარება პროცესები ან სიტუაციები, რომლებიც ყოველთვის ან გარკვეულ შემთხვევაში ემორჩილება ადამიანის ნებას — სავსებით ან ნაწილობრივ“. კაუზაცია შეიძლება ეხებოდეს უშუალოდ მოსაუბრეს — ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მე-2 პირის იმპერატივთან. მოსაუბრე ზემოქმედებს მსმენელზე პირდაპირ, ვერბალურად და აქვს სიტუაციის რეალური კონტროლის საშუალება (Храковский В. С., Володин А. П., 1986).

კაუზაცია შესაძლოა მიმართული იყოს პირისადმი, რომელიც მოცემულ მომენტში არ მონაწილეობს საუბარში. ბრძანების ამ ფორმას უწოდებენ მე-3 პირის იმპერატივს და ის გადმოსცემს არაპირდაპირ, ირიბ იძულებას, რომელიც რეალიზდება თანამოსაუბრის, ანუ მე-2 პირის მეშვეობით. ამასთან, სიტუაციის კონტროლის უნარი შედარებით ნაკლებია, ვიდრე უშუალოდ მე-2 პირისადმი მიმართული ბრძანების გადმოცემისას.

როდესაც საუბარია I პირზე, იგულისხმება ერთობლივი მოქმედების ფორმები მრ. რ. I პირისა და ასევე თვითმოწოდების გამომხატველი მხ. რ. ფორმები. თუმცა, მრ. რ. I პირის ფორმები უფრო ხშირია, ვიდრე მხ. რ.-ისა, შესაძლოა

იმიტომ, რომ ისინი ამავე დროს ადრესატისადმია მიმართული. სიტუაციის კონტროლის ფაქტორი ამ შემთხვევაში ნაკლებმნიშვნელოვანია. როგორც უ. ვაინრაიხი აღნიშნავს, იმპერატივის გამოხატვის საშუალებები, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია დეიქტურ კატეგორიებთან და მე-2 პირისათვის უფროა განვითარებული, I და III პირების შემთხვევაში კი უფრო ანალიტიკურია (Вейнрейх У., О семантической структуре языка. Новое в лингвистике, т. 5. Москва, 1987.)

ვიზიარებთ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რთულია, ცალსახად განისაზღვროს იმპერატივის ადგილი ზმნის კატეგორიათა სისტემაში, რადგან საზოგადოდ, ფუნქციისა და პარადიგმის წყობით იმპერატივი უპირისპირდება სხვა კილოებს. მაგრამ ზოგადად, კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოსაუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელსავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი. ებრაულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გადმოცემის ძირითად საშუალებას ზმნის კილო წარმოადგენს. ინდიკატივი პირდაპირ კილოს განეკუთვნება, ხოლო იმპერატივი, იუსივსა კოპორტატივთან ერთად – ირიბ კილოებს.

ვიზიარებთ აზრს, რომ იმპერატივი და ინდიკატივი წარმოადგენს ორ სავალდებულო ფორმას, რომლებიც აუცილებლად შედიან კილოს კატეგორიაში ყველა ენაში და ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, მიუხედავად რიგი მორფოლოგიური, ფონეტიკური თუ სხვა თავისებურებებისა, იმპერატივი ებრაულში წინადადების პრედიკატული მოდალობის მთავარი საშუალებაა და კილოს კატეგორიის ერთ-ერთ ფორმად უნდა განიხილებოდეს.

თავი მეორე

იმპერატივის გამოხატვის ალტერნატიული საშუალებები ებრაულში ბრძანების გადმოცემა შესაძლებელია არა მხოლოდ იმპერატივის, არამედ ინდიკატივის, იუსივის, კოპორტატივის ფორმებით. ებრაულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, იმპერატივის გამოხატვის ალტერნატიული საშუალებები საკმაოდ მრავალფეროვანია და გარკვეული სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ინფინიტივი, რომლის გამოყენების შემთხვევები ბრძანებითის ფუნქციით განსაკუთრებით ხშირია. ბიბლიის ტექსტებში

კატეგორიულ ბრძანებას არცთუ იშვიათად გადმოსცემს აბსოლუტური ინფინიტივი:

zākūr 'et yōm haššabāt

გახსოვდეს დღე შაბათისა [Ex 20:8].

საყურადღებოა, რომ ამ ფორმით ბრძანება ბიბლიის ტექსტებში გადმოიცემა, მოგვიანებით აბსოლუტური ინფინიტივი ამ ფუნქციით აღარ იხმარება. თანამედროვე ებრაულში კი სხვადასხვა სახის ბრძანებას გადმოსცემს კონსტრუქციული ინფინიტივი. აქ განსახილველია რამდენიმე შემთხვევა: კონსტრუქცია I⁺inf. – კატეგორიული ბრძანების გამოსახატავად, როდესაც ის მიმართულია ორზე მეტი პირისადმი (მაგ. მასწავლებლის მიერ კლასისადმი მიმართვისას): მაგ:

lištōq! – სიწყნარე

lo' l'hikkanēs! – ნუ შემოხვალთ!

თანამედროვე ებრაულში ოფიციალური მითითების, ინსტრუქციის გადმოცემისას I⁺ წინდებულის inf. cstr ს ზოგჯერ ახლავს yēš:

k'tōsēp t'zūnā yēš laqahat 1-2 ṭablīōt lipnēi h^arūhā.
yēš l'hiwa'eš b'rōpē.

როგორც კვებითი დანამატი, მიიღება 1-2 აბი ჭამამდე. სასურველია ექიმის რჩევით (წამლის მიღების ინსტრუქცია).

ინფინიტივით გადმოცემული იმპერატივისათვის დამახასიათებელია ექსპრესიულობა და კატეგორიულობა, განსაკუთრებით ე.წ. „ინსტრუქციული იმპერატივისა“ და პროპიბიტივისათვის, რომლებიც გადმოსცემენ მითითებას ან აკრძალვას, მიმართულს ანონიმი მსმენელისადმი.

ამ ტიპის წარწერები ხშირია ქუჩებში, როდესაც რაიმე ქმედებაა აკრძალული:

lo' lašebet kân!

აქ არ დასხდეთ!

lo' lagā'at!

ხელით ნუ შეეხებით!

ამგვარი კონსტრუქციების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მათი საშუალებით გამოიხატება არა მარტო უაპელაციო ბრძანება ან კატეგორიული მითითება, არამედ მოქმედების შესრულების აუცილებლობა, ამასთან, ეს მოქმედება არის არა კონკრეტული და რეალური, არამედ გარკვეულწილად პოტენციური, რომლის შესრულება არაა დამოკიდებული მსმენელის ნებაზე და არც შეიძლება, გაკონტროლებულ იქნეს მის მიერ. აღნიშნული ტიპის წინადადებებს ადრესატისაგან პასუხი მოსდევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ინფორმაციის დაზუსტება ან დამატებითი ცნობების მიღება. მაგრამ ძირითადად, ამგვარი კონსტრუქციები ატარებს უაპელაციო განკარგულების ქვეტექსტს და გამორიცხავს უარს.

გარდა კატეგორიული ბრძანებისა, I^c -წინდებულისა და ნაწილაკების კომბინაციით გადმოიცემა თა-

ვაზიანი მიმართვა. საერთოდ, იმპერატიულ კონსტრუქციებში, იქნება ეს ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმები, ფართოდ გამოიყენება როგორც „გამაძლიერებელი“, ისე „შემარბილებელი“ ნაწილაკები nā' იშვიათად ānā' b'ḥaqašā' მოწოდებისას hābā' .

nā' lišgōr 'et haddelet.

დახურეთ კარი, გეთაყვა.

hābā' lištōt!

მოდი, დავლიოთ!

b'ḥaqašā' l'hikkanēs.

შემობრძანდით! (= გეთაყვა).

b'ḥaqašā' lašebet.

დაბრძანდით!

ნაწილაკები b'ḥaqašā', ānā' მოსაუბრეს შეუძლია გამოიყენოს მიმართვისას მსმენელისადმი, რომელიც სოციალური სტატუსით მასზე მაღლა ან დაბლა დგას, ან მისი თანასწორია. მათი ხმარება შეიძლება როგორც ფაქტიტიური, ისე პერმისიული კაუზაციის გამოხატვისას. ხსენებული ნაწილაკების შეტანა კონსტრუქციაში არ ახდენს გავლენას ამ უკანასკნელის ინტერპრეტაციაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ეს ნაწილაკები და საერთოდ, მიმართვის თავაზიანი ფორმები უადგილოა. ასეთია, მაგალითად, ინსტრუქციული იმპერატივი ან საშხედრო ბრძანება (როდესაც ბრძანება გაიცემა ღროის დეფიციტის პირობებში), მაგ:

^amōd ḥōpšī! – თავისუფლად

თანამედროვე ებრაულში გვხვდება ასევე კონსტრუქციები: 'ūlai tōil, hō'el-na', hō'el-na' biḥbākā, inf. cstr. სთან ერთად,

რომლებიც მე-2 პირისადმი მიმართვის სხვადასხვა ნიუანსს გამოხატავენ $h\bar{o}el$ წარმოადგენს $h\bar{o}i\bar{l}$ $y\bar{l}$ ზმნის იმპერატიულ ფორმას, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება მიმართვის ფორმებს: „კეთილი ინებეთ“, „გთხოვთ“, „თუ შეიძლება“:

$h\bar{o}$ 'el-na' $bi\bar{t}\bar{u}b\bar{k}\bar{a}$ l' targēm.
თუ შეიძლება, მითარგმნეთ.

$\bar{u}l\bar{a}i$ $t\bar{o}i\bar{l}$ l' sappēr 'al kak $y\bar{o}t\bar{e}r$ pērūt.
თუ შეიძლება, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მიაშბეთ.

აკრძალვითი შინაარსის ბრძანება შეიძლება გადმოცემულ იყოს inf.cstr. სა და $\bar{a}s\bar{u}r$ („აკრძალული“) სიტყვის მეშვეობით:

$\bar{a}s\bar{u}r$ l' hadbiq $m\bar{o}d\bar{a}'\bar{o}t$.
განცხადებების გამოკვრა აკრძალულია!

გარდა ინფინიტიური კონსტრუქციებისა, კატეგორიულ ბრძანებას, გაფრთხილებას ხშირად გადმოსცემენ აბსტრაქტული არსებითი სახელები:

$z'h\bar{i}r\bar{u}t!$
ფრთხილად!

თხოვნა, ბრძანება ან სხვა ნიუანსის მქონე მიმართვა აგრეთვე შეიძლება გამოიხატოს ე.წ. ელიფსური კონსტრუქციით, რომელშიც გამოტოვებულია ზმნის იმპერატიული ფორმა

მაგ:

$b'h\bar{a}q\bar{a}\bar{s}\bar{a}$ $\bar{h}\bar{a}p\bar{i}sat$ $q\bar{a}p\bar{e}$.

თუ შეიძლება, ყავის შეკვრა (მომცით) (შდრ. რუს. пачку кофе, пожалуйста.)

ამგვარი კონსტრუქციები გამოირჩევა ექსპრესიულობით, გამოხატავს კომუნიკანტების ურთიერთობის ხასიათს და გამოიყენება გარკვეულ სასაუბრო სიტუაციებში (მაგ. საყოფაცხოვრებო სფეროში, დროის დეფიციტის პირობებში, ქუჩაში და სხვ.). ელიპტირებული კომპონენტის აღდგენა შესაძლებელია, თუმცა შესასრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნის გამოტოვება არ უშლის ხელს ბრძანების სწორად აღქმას და გაგებას. ზოგიერთ სიტუაციაში, როგორც ნ. კატანცევა აღნიშნავს, ამგვარი უსრული წინადადებები არ შეიძლება ჩაითვალოს სრული წინადადების იდენტურად, ხოლო ელიპტირებული წევრის აღდგენა, ელიფსური კონსტრუქციების ექსპრესიულობისა და ლაკონურობის გათვალისწინებით, გარკვეულ სიტუაციაში უმართებულო ჩანს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ანალიტიკური იმპერატიული კონსტრუქციებისათვის ძირითადად დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური თავისებურებები: ლაკონიზმი, ბრძანებითი ინტონაციის აუცილებლობა, ბრძანების სხვადასხვა ნიუანსის გადმოცემის უნარი.

თავი მმსამმ

იმპერატიული მნიშვნელობის სემანტიკური ინტერპრეტაციები და მათი კლასიფიკაცია

იმპერატივის ზოგადი მნიშვნელობა, როგორც ვ. გრაბიე მიუთითებს, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის გამოხატავს მოსაუბრის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოქმედებისადმი. მისი ძირითადი არსი არის იძულება, რომელიც კონტექსტის მიხედვით შეიძლება შეიცავდეს ბრძანებასაც და სურვილსაც. ამასთან, იმპერატივი არ გამოირიცხავს მოქმედების არც ჰიპოთეტურობას და არც რეალურობას.

როგორც ნ. დობრუშინა მიუთითებს, ბრძანება შეიძლება გამოხატულ იქნეს კატეგორიულობის სხვადასხვა ხარისხით. ამა თუ იმ მოქმედების შესრულება მოსაუბრემ შეიძლება

მსმენელისაგან მოითხოვოს, ან ითხოვოს. კატეგორიული ბრძანების გამოხატვისას მოსაუბრეს თითქოს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ბრძანება შესრულდება. თხოვნის გადმოცემისას კი ადრესატს შეუძლია არ დაემორჩილოს მსმენელს. ამის მიხედვით ყველა ენაში გამოიყოფა იმპერატიული მნიშვნელობის რამდენიმე ჯგუფი ამა თუ იმ სასაუბრო სიტუაციის მიხედვით. სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში ვხვდებით იმპერატიული მნიშვნელობის სემანტიკური ინტერპრეტაციების ურთიერთგანსხვავებულ კლასიფიკაციებს. შინაარსის მიხედვით, იმპერატიული კონსტრუქცია შეიძლება გულისხმობდეს ფაქტიტიურ კაუზაციას (თხოვნა, შეთავაზება და მისთ.) ან პერმისიულ კაუზაციას (ნებართვა, რჩევა), ხოლო იმპერატივის „კერძო მნიშვნელობები“, როგორც ვ. ზრაკოვსკი და ა. ვოლოდინი აღნიშნავენ, ასახავენ სხვადასხვა სიტუაციას და წარმოადგენენ ერთი იმპერატიული მნიშვნელობის სემანტიკურ ინტერპრეტაციებს. მათი კლასიფიციებისას გასათვალისწინებელია სასაუბრო აქტის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულება და ასევე მათი მიმართება კაუზირებულ მოქმედებასთან ვ. გრაბიესეულ და ვ. ზრაკოვსკისა და ა. ვოლოდინის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციებზე დაყრდნობით და სათანადო მაგალითების მოშველიებით, ბიბლიისა და თანამედროვე ებრაულ ენაში გამოყავით იმპერატიული მნიშვნელობის ექვსი კერძო ინტერპრეტაცია:

ფაქტიტიური კაუზაცია:

- 1) ბრძანება
- 2) თხოვნა
- 3) ინსტრუქცია

პერმისიული კაუზაცია:

- 4) შემოთავაზება (რეკომენდაცია)
- 5) ნებართვა
- 6) რჩევა

თითოეული ინტერპრეტაცია გაშუქებულია ბიბლიიდან და თანამედროვე მხატვრული ტექსტებიდან, აგრეთვე სასაუბრო ენიდან მოძიებულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით. როგორც ირკვევა, ბრძანების სემანტიკური ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეთ როგორც II პირის, ასევე I და III პირის ფორმებსაც. სემანტიკური ინტერპრეტაციების იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია სიტუაციის კონტროლის ცნება. როგორც მაგალითებიდან ჩანს, როდესაც ბრძანება II პირისადმი მიმართული, მოსაუბრე უშუალოდ, ვერბალურად ზემოქმედებს მასზე და ამიტომ სიტუაციის კონტროლისუნარიანია. III პირისადმი მიმართული ბრძანებისას კაუზირებულია პირია, რომელიც საუბარში არ მონაწილეობს ამიტომ კონტროლის ფაქტორი ამ შემთხვევაში შესუსტებულია. რაც შეეხება I პირისადმი მიმართულ ბრძანებას, ნ. დობრუშინას მიხედვით, აქ სიტუაციის კონტროლის ფაქტორი ნაკლებად აქტუალური ჩანს.

ბრძანების საიდენტიფიკაციო ნიშნებია:

- ა) კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან;
- ბ) კაუზირებული მოქმედების შესრულება მოსაუბრის ინტერესებშია და მსმენელის ნება-სურვილი მისთვის ნაკლებადმნიშვნელოვანია;

გ) სიტუაცია მოსაუბრის კონტროლს ექვემდებარება.

მაგალითები

wayo'mer lo' ta^hbor.

მან კი უთხრა: არ გაიარო! [Nu 20:20].

šē mišām mahēr.

გადი ახლავე აქედან!

ბრძანების ინტერპრეტაცია შეიძლება მიენიჭოს თავაზიანი მიმართვის ფორმებს გარკვეულ სიტუაციაში, მაგალითად, როდესაც პოლიციელი მიმართავს მოქალაქეს:

tēn lī b^hbaqāšā hat^uūdōt: t^udat zhūt, riš'ayōn n^hīga w^ut^udat biṭahōn.

წარმოადგინეთ, გეთაყვა, საბუთები: პირადობის მოწმობა, მართვის უფლება და დაზღვევის მოწმობა.

თხოვნის საიდენტიფიკაციო ნიშნებია: ა) კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან; ბ) კაუზირებული მოქმედების შესრულება მოსაუბრის ინტერესებშია.

თხოვნის ინტერპრეტაციის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტონაცია. როგორც ბიბლიის ენაში, ისე თანამედროვე ებრაულში, თხოვნის გამომხატველი ფორმები ხშირად დაირთავენ ნაწილაკებს:

'al-nā ta^uzōb 'otānū.

და უთხრა: ნუ მიგვატოვებ [Nu 10:31]

'ōd kōs tē ḥānā w^ut^ukabī b^hbaqāšā 'et hā'ōr.

კიდევ ერთი ჭიქა, ხანა, და თუ შეიძლება, შეუქი ჩააქრე.

თხოვნის გამომხატველი წინადადება ხშირად იწყება მიმართვით: ta^ušē lī ṭōbā - „ჰქენით სიკეთე:

ta^ušē lī ṭōbā, t^udabēr 'itāh.

ჰქენი სიკეთე, დაელაპარაკე მას.

თხოვნა შეიძლება გადმოცემულ იყოს იმპერატივის ფორმით, შემარბილებელი ნაწილაკების გარეშე, სათანადო ინტონაციით:

'nī lo' biqqaštī mimkā šūm dābār 'ad hayōm. 'al titnī lo' ha^ugālā hazzo't.

შენთვის დღემდე არაფერი მითხოვია. ნუ მისცემ მას ამ ურემს.

თხოვნის სემანტიკური ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ II პირის ფორმებს, არამედ I პირის

ფორმებსაც, რომლებიც ერთდროულად თხოვნას და მოწოდებას გადმოსცემენ:

'nī 'ay^upā mikāel. nāšūb habbaytā.

დადლილი ვარ, მიხაელ. დაებრუნდეთ მინ.

თხოვნის სემანტიკური ინტერპრეტაცია III პირის ფორმებს შედარებით იშვიათად აქვთ. თხოვნის ინტერპრეტაციის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტონაცია, ამასთან, თავაზიანობის ეფექტი იქმნება იმის გამო, რომ მოსაუბრე არ ცდილობს სიტუაციის გაკონტროლებას.

ინსტრუქციის საიდენტიფიკაციო ნიშნებია: კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან; ბ) ინსტრუქციის თავისებურებას წარმოადგენს ანონიმ მსმენელთა განუსაზღვრელი სიმრავლის არსებობა. ასეთი ინტერპრეტაცია ბიბლიის ენაში შეიძლება მიეცეს უფლის მცნებებს:

lo' tiršah

არა ჰკლა! [Ex 20:13].

lo' tin'ap

არ იმრუშო! [Ex 20:14].

თანამედროვე ებრაულში ინსტრუქცია იშვიათად გადმოიცემა ზმნური ფორმებით, ამ მიზნით უფრო ხშირად გამოიყენება ინფინიტივი:

l^udabbēr m^uaṭ m^uōd. l^uhištameš raq b^ud^uḥarim 'elēmētarim.

ილაპარაკეთ რაც შეიძლება ნაკლები. მხოლოდ ელემენტარული საუბარი.

ინსტრუქციის მაგალითები ხშირად გვხვდება ქუჩებში წარწერების სახით:

lo' laga'at!

არ შეეხოთ!

lo' liqtōp̄ prahīm!

ყვავილები არ დაკრიფოთ!

მსგავსი სახელმძღვანელო მითითებანი მოიპოვება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე, წამლებზე, საკვებ პროდუქტებზე:

raq l'šimūš hiṣōnī

მხოლოდ ვარევანი გამოყენებისათვის!

lo' liblōa!

არ ჩაყლაპოთ! (წამალზე)

შეიძლება აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში კაუზირებული მოქმედების შესრულება აქ მსმენელის ინტერესებშია. ამგვარ კონსტრუქციებს ზოგიერთი მკვლევარი გენერალიზებულ კონსტრუქციებსაც უწოდებს.

შეთავაზების საიდენტიფიკაციო ნიშნებია: ა) კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან; ბ) კაუზირებული მოქმედების შესრულება მსმენელის ინტერესებშია.

hinē 'aršī l'pāneyka baṭōḅ b'ēneykā šeb

აი, შენს წინაშე ჩემი ქვეყანა; დასახლდი, სადაც მოგეწონება. [Gn 20:15].

tištameš b'ṭelepōn šelī.

ჩემი ტელეფონით ისარგებლე

შეთავაზების სემანტიკური ინტერპრეტაცია ზოგ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს I პირის მრ. რ. ერთობლივი მოქმედების ფორმებს:

l'kū w'nimk'renū layišm'ēlīm w'yādēynū 'al-t'hī-bō.

მოდი, მივიდლოთ იგი იგი ისმაელიანებს, ხელს ნუ ვახლებთ მას [Gn 37:27]

š'ḅū-n'ā b'kūrsōt... nitwakēak bēnēynū 'al hapōlītīqā.

ჩასხედით სავარძლებში... ვიკამათოთ პოლიტიკაზე.

რეკომენდაცია-შეთავაზების გამომხატველ კონსტრუქცი-ებში ხშირად გამოიყენება სიტყვები: rāšūī, k'daī:

hāyā k'daī š'tibdōq 'et haf'sūḅā bamīlōn.

კარგი იქნებოდა, სიტყვის მნიშვნელობა ლექსიკონში მოგეტებნა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, შეთავაზების სემანტიკური ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს იმპერატიული პარადიგმის თითქმის ყველა ფორმას.

ნებართვა. საიდენტიფიკაციო ნიშნებია: ა) კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან; ბ) კაუზირებული მოქმედების შესრულება მსმენელის ინტერესებშია; გ) მოსაუბრე თავს მსმენელზე მაღლა აყენებს:

kī yiwwālēd w'hāyā šib'at yāmīm taḥat 'immō ūm'cyōm haššmīnī wāhāl'a yērše l'qārban 'iše lay'hōwā

როცა დაიბადება ბოი ან კრავი, ან თიკანი, შეიდი დღე დაჰყოს დედის ქვეშ, მერვე დღიდან და იმის შემდეგ კი სასურველი იქნება ცეცხლზე შეტრუსულ მსხვერპლად უფლისათვის. [Lev 22:27]

ნებართვის ინტერპრეტაცია ბიბლიის ტექსტებში არცთუ იშვიათად აქვს მე-3 პირის ფორმებსაც:

bānīm 'ašer yiwwāl'dū lāhem dōr šlīšī yabō' lāhem biq'hal y'hōwā

შვილებს, მესამე თაობაში რომ ეყოლებათ მათ, შეუძლიათ შევიდნენ უფლის კრებულში [Dt 23:9]

ნებართვის სემანტიკური ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს იმპერატიული პარადიგმის ყველა ფორმას.

რჩევა-დარიგება

საიდენტიფიკაციო ნიშნები: ა) კაუზაციის იმპულსი მომდინარეობს მოსაუბრისაგან; 2) კაუზირებული მოქმედების შესრულება მსმენელის ინტერესებშია; სიტუაციის კონტროლის ფაქტორი ნაკლებად აქტუალურია.

wayo'mer lāh malak y'hōwā šūbī 'el-g'birtek w'hit'anī taḥat yādeyah

და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: დაბრუნდი და აიტანე შევიწროება მის ხელქვეით [Gn 16:11].

qōr nōrā bāhūš. 'al-nā tāqūmī mimitat'kā.

საშინელი სიცივეა გარეთ. ნუ აღგები ლოვინიდან.

რჩევა-დარიგება ძალზე ხშირად გადმოიცემა ინფინიტივით ან კონსტრუქციით: მოდალური სიტყვა k'dāi + ინფინიტივი:

lo' k'dāi l'hit'aqēš

არ ღირს გაჯიუტება.

ცალკე უნდა გამოვეყოთ სარეკლამო შინაარსის კონსტრუქციები,

რომლებიც შეიძლება გადმოცემული იყოს სხვადასხვა ფორმით: ინფინიტივისა და ნაწილაკების კომბინაციით, მიმღობით, საკუთრივ იმპერატიული ან იმპერფექტივის ფორმებით, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული კონსტრუქციების სემანტიკურ ინტერპრეტაციას, მას ჩვეულებრივ, რჩევის ან რეკომენდაციის ხასიათი აქვს:

